



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 7
21/04/2021

7-06-4-202104211614



**„ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის –
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების
შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №38
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის –
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების
შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №38
დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 14/03/2018. სარეგისტრაციო კოდი:
010260020.35.116.016423) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით
დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ც“
ქვეპუნქტი:

„ც) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც
აუცილებელია, საფრთხის თავიდან აცილება ბენეფიციართა საქართველოს
კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურეობებში ჩართვას და
ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას: ოჯახში
ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და და მასზე შესაბამის რეაგირებას“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო